ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5473585

ნომერი: AR1829430

თარიღი : 01.06.2021

გაცემის თარიღი : 25.06.2021

გაცნობის თარიღი : 25.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე შეროზია პ/ნ 51001003099
- დიღმის მასივი 1კვ.3ბ.ბ19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ნომენკლატურა არასწორად არის არჩეული. ვინაიდან ფასადის სამღებრო სამუშაოებზე არ გაცემულა ნებართვა, შესაბამისად ნომენკლტაურაში "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება -კორექტირები"-ს ნაცვლად უნდა აირჩიოთ "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება - რეკონსტრუქცია", რისთვისაც გეხსნებათ ნომენკლტურის ცვლილების ღილაკი.

გარდა ამისა:

1. ამჟამად შერჩეული ფერი კვლავ მიუღებელია, ამ ფასადდთან ახლოს ჩაყოლებაზე ამჟამად შერჩეული ფერი არავის არა აქვს. შეცვალეთ ფერი და შეირჩეს ფასდის არსებულ ფერთან მიახლოებული ფერი, ერთიან იერსახეში რომ ჩაჯდეს და არ იყოს ამოვარდნილი საერთო ხედიდან.

ასევე, ფოტომონტაჟის მიხედვით ხდება შენობის ფასადიდან გამოწეული დაბალი კედლების შელესვა-შეღებვა და მასზე ყვავილების მოწყობა, ვინაიდან აღნიშნული განთავსებულია საკადასტრო საზღვარის გარეთ, მუნიციპალიტეტის მიწის ნაკვეთზე, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა. გარდა ამისა, საკადასტრო გეგმაზეც დაიტანეთ ზუსტი განთავსების ადგილი.

2. განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს.

როგორც არსებულ ფოტოზე, ისე ფოტომონტაჟზე კონტურის სახით მონიშნეთ სარეკონსტრუქციო ფართები შესაბამისი გაბარიტული ზომებით და შესაბამისად, დაანგარიშდეს ცალ-ცალკე თითოეული სარეკონსტრუქციო ფასადებისა და სარეკლამო აბრების პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე. გაითვალისწინეთ: სარეკლამო აბრები უნდა განათავსოთ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოსადგენი იქნება იმ ფართის მესაკუთრის თანხმობა, საჯარო რეესტრის ამონაწერთან ერთად, ვის ფართზეც მოხდება სარეკლამო აბრის განთავსება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგინეთ ორივე ფასადის ისეთი ხედის ფოტომონტაჟი, სადაც კარგად გამოჩნდება თითოეული ფასადი მთლიანად და მითითებული იქნება ყველა მასალა და გაბარიტული ზომა. მეორე ფასადი (სადაც უცხოური წარწერაც არის) კარგად არ ჩანს.

3. წარმოდგენილ იქნეს შპს ჩიქენ გაიზ გრუპის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით სხვის სარგებლობაში არსებულ ფართებს წარმოდგენილ იქნეს მათი თანხმობები თუ არ ეხებით განმარტეთ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.